

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვამტკიცებ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირტავა

25.07.2014 წელი

2 ეგზ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს
2014 წლის 15 მაისის №5/105 აუდიტის ანგარიშში ცვლილებების შეტანის
შესახებ № 7/105

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2014 წლის 6 ივნისის ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდენტის 2014 წლის 1 ივლისის №2/35 გადაწყვეტილების თანახმად, განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები 2014 წლის 14 მაისს დამტკიცებულ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის №5/105 ანგარიშში“, კერძოდ:

1. აუდიტის ანგარიშში კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ პირობითი მოსაზრების საფუძვლების პირველი პუნქტი იმ ნაწილში (გვ. 7), რომელიც შეეხება სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებების წესდებებისა და მათთვის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მინიჭების საკითხს, ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სასოფლო - სამეურნეო გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, რომელიც ამოქმედდა 2013 წლის 5 ოქტომბერს, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წესდება უნდა ითვალისწინებდეს სავალდებულო სარეზერვო ფონდის შექმნისა და განკარგვის, წევრთა (მეპაიეთა) რეესტრის წარმოების, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივისა და მის წევრს (მეპაიეს) შორის ურთიერთვალდებულებების წერილობით გაფორმების წესებს, რის გამოც პროგრამის ფარგლებში შექმნილ გაერთიანებებს მიეცეთ რეკომენდაცია განახორციელონ კანონმდებლობით გათვალისწინებული ქმედებები სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მოპოვების მიზნით.“

2. აუდიტის ანგარიშში კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ პირობითი მოსაზრების საფუძვლების მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის“ მიერ სატენდერო განცხადების მოთხოვნის შესაბამისად გაფორმებულ ხელშეკრულებაში, განხორციელებული კანონშეუსაბამო¹ ცვლილებებით შემსრულებელს ავანსის სახით დამატებით გადაერიცხა 57,8 ათასი ლარი.

მემცენარეობის დარგში თანამედროვე აგროტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში, გვარა-ხუცუბანში ვაზისა და ხეხილის სანერგე მეურნეობაში სარწყავი სისტემის, ფარდულის, სადრენაჟე სისტემის, შიდა გზების, ქარსაფარი ზოლისა და გარე განათების სამუშაოთა შესყიდვის მიზნით, 2013 წლის 31 ივლისს გაფორმებულ ხელშეკრულებაში² (ღირებულება 441,4 ათასი ლარი), განხორციელებული ცვლილების³ შედეგად, გაიზარდა საავანსო ანგარიშსწორების

¹ დარღვეულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-5 პუნქტი.


² SPA 130013670

³ შეთანხმება #2. 25.12.2013

წესით სახელშეკრულებო თანხის გაცემის ზღვრული მოცულობა (10%-დან 23%-მდე) და საბანკო გარანტიის საფუძველზე, შემსრულებელს ავანსის სახით გადაერიცხა სახელშეკრულებო თანხის დარჩენილი ნაწილი 51,9 ათასი ლარი. ანალოგიურად, დაბა ჩაქვის სანერგე მეურნეობისათვის სასათბურე კონსტრუქციებისა და მათ მონტაჟთან დაკავშირებული სამუშაოების შესყიდვის შესახებ გაფორმებულ ხელშეკრულებაში⁴ განხორციელებული ცვლილებით, ხელშეკრულებაში დამატებით გათვალისწინებული იქნა ანგარიშსწორების საავანსო ფორმა, რაც სახელშეკრულებო თანხის 5 %-ით განისაზღვრა. აღნიშნული ცვლილების შესაბამისად, საბანკო გარანტიის საფუძველზე, შემსრულებელს ავანსის სახით გადაერიცხა სახელშეკრულებო თანხის დარჩენილი ნაწილი 6,8 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ ორივე შემთხვევაში სამუშაოთა შემსრულებელია შპს „მაჯა“.


წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, გვარა-ხუცუბანში ვაზისა და ხეხილის სანერგე მეურნეობის მოწყობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები, თანხის ავანსად გადარიცხვის პერიოდში დასრულებული იყო და ავანსად საბიუჯეტო სახსრების გაცემის აუცილებლობა არ დასტურდება. ხელშეკრულებებში განხორციელებული ცვლილებები არ იყო არგუმენტირებული და აღნიშნული ქმედებით არაკონკურენტული გარემო შეიქმნა იმ პოტენციური პრეტენდენტებისათვის, რომლებმაც ტენდერის გამოცხადების ეტაპზე არ იცოდნენ საავანსო ანგარიშსწორების არსებობისა და რაოდენობის შესახებ. ამასთან, ამ შემთხვევაში გაუარესდა ზოგადად შემსყიდველის-სახელმწიფოს პირობები, რადგან თანხის ავანსად გადარიცხვა საბიუჯეტო სახსრების ანგარიშზე პროცენტის დარიცხვის თვალსაზრისით, პირობების გაუარესებას ნიშნავს, რადგან რესპუბლიკური ბიუჯეტის საბიუჯეტო სახსრების ანგარიშზე არსებულ ნაშთს, ყოველდღიურად ერიცხება პროცენტი, რაც ბიუჯეტის შემოსავლების ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს.“

უფროსი აუდიტორი
გოჩა შარაბიძე



თარიღი 25.07.2014წ.

აუდიტორ-ასისტენტი
მიხეილ დიასამიძე



თარიღი 25.07.2014წ.

⁴ N01-10/192. 26.09.2013. SPA 130018570